

დამტკიცებულია
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ
დადგენილება # 95 ოქმი # 16 „1“ 2013 წ.
სპიკერი, ასოც. პროფესორი:

რ. თათეშვილი



საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რედაქციის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) გაზეთის რედაქცია (შემდგომში - რედაქცია) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
2. რედაქცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით, შიდასაუნივერსიტეტო ნორმატიული აქტებით და წინამდებარე დებულებით. ასრულებს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.
3. დებულება განსაზღვრავს რედაქციის ფუნქციებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

მუხლი 2. რედაქციის მიზანი და ფუნქციები

1. გაზეთის მეშვეობით უნივერსიტეტის საქმიანობის გამჭვირვალების უზრუნველყოფა;
2. გაზეთის მეშვეობით უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების აკადემიურ სფეროში მიღწევების შესახებ ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისათვის;
3. უნივერსიტეტში არსებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისათვის;
4. კანონმდებლობით დადგენილი წესით სხვა ინფორმაციის გამოქვეყნება.
5. უზრუნველყოს თვეში მინიმუმ ერთი საგაზეთო ნომრის გამოშვება.

მუხლი 3. რედაქციის სტრუქტურა და მართვა

1. რედაქციას მართავს რედაქტორი.
2. რედაქციის სტრუქტურაში შედის:
 - ა) რედაქტორი (1 საშტატო ერთეული)
 - ბ) ჟურნალისტი (2 საშტატო ერთეული)

მუხლი 4. რედაქციის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები

1. რედაქტორის უფლება-მოვალეობები:
 - ა) იმოქმედოს უნივერსიტეტის კომპეტენციის ფარგლებში და უზრუნველყოს სამსახურის საქმიანობის ეფექტიანი წარმართვა;
 - ბ) რედაქტორი განსაზღვრავს სამსახურის თანამშრომელთა ფუნქციებს და კოორდინაციას უწევს მათ მუშაობას.
 - გ) უზრუნველყოფს გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის რედაქტირებას.
 - დ) ახორციელებს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ სხვა უფლებამოვალეობებს.
 - ე) რედაქტორი ანგარიშვალდებულია რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.
2. ჟურნალისტ(ებ) ის უფლება-მოვალეობები:
 - ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვოს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისაგან და სტუდენტური თვითმმართველობისგან მისი საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელი ინფორმაცია;
 - ბ) რედაქტორის წინაშე გადასაწყვეტად დასვას მის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები;
 - გ) უზრუნველყოს უნივერსიტეტში არსებული მნიშვნელოვანი მოვლენების დროული გაშუქება;
 - დ) უზრუნველყოს რედაქტორის მითითებების დროულად და ჯეროვნად შესრულება.
 - ე) ჟურნალისტი ანგარიშვალდებულია რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

მუხლი 5. რედაქციის თანამშრომელთა შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები

1. რედაქციის თანამშრომლებს, როგორც დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, მისი შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს ადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.
2. რედაქციის თანამშრომლებთან შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსისა და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 6. სამსახურებრივი პასუხისმგებლობა

რედაქციის თანამშრომლები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვაზე, საქმიანობის პროცესში ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე და მათი მიზეზით უნივერსიტეტისათვის მიყენებული ზარალისათვის. ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის პასუხს აგებენ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. რედაქციის რეორგანიზაცია და გაუქმება

სამსახურის რეორგანიზაცია ან გაუქმება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით

მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი

1. რედაქციის დებულებას ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
2. დებულებაში ცვლილებების შეტანა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.